სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 მაისი 2024

N 21/5249

შპს „ბლექ სი პეტროლიუმს“

მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 17ა, სართული 9, ბინა N57

ელ. ფოსტა: zmgreen@gamma.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი N1801 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის და ფოთის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას და გაცნობებთ შემდეგს:

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ იქნა N04/131 წერილი, რომლის თანახმად შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 04.01.02.854), განთავსებულია ნაგავსაყრელი. აღნიშნული ნაგავსაყრელის დახურვის დეტალური დიზაინი მომზადებულია და უახლოეს მომავალში იგეგმება საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება. პროექტით გათვალისწინებული ორი ახალი საყრდენი ანძის დაყენება, გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ნაგავსაყრელის დახურვის მომზადებულ დიზაინში. შესაბამისად, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილებები ნაგავსაყრელის დახურვის დიზაინში, ორი ახალი საყრდენი ანძის დაყენების მიზნით.

ასევე, სააგენტოში სს „საქართველოს რკინიგზას“ მიერ წარმოდგენილ იქნა N1913 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებული 16/78 კუთხური ანძა მონტაჟდება არამყარ გრუნტზე, რაზეც მიუთითებს თავად პროექტანტი და უშვებს მის შესაძლო დატბორვასა და ფუნდამენტის გამორეცხვას, რაც მიუღებელია. ასევე ანძა კრიტიკული მალით კვეთს მდინარე რიონს ფართო ყელში და საქართველოს რკინიგზის ხაზს, რაც ავარიულ სიტუაციაში ჩააყენებს რკინიგზის ინფრასტრუქტურას. წერილში ასევე მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული საკითხები ითხოვს სერიოზულ შესწავლას და ტექნიკურად სწორად გადაწყვეტას, რომ შპს „ბლექ სი პეტროლიუმმა“ და სს „საქართველოს რკინიგზამ“ უსაფრთხოდ იფუნქციონიროს აღნიშნულ მონაკვეთზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“და სს „საქართველოს რკინიგზასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო